შ რ-ს

მისამართი: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას N6 (შპს „პოსტ ტვ“)

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

2023 წლის 11 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ა გ-მ, *(შემდგომში: განმცხადებელი)* მომართა შ რ-ის მხრიდან *(შემდგომში: მოპასუხე)* განხორციელებული სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე. განმცხადებლის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში ი დ წარმოადგენს. სახალხო დამცველის აპარატმა, საქმის შესწავლის პროცესში, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, შ რ-ს ორჯერ მიმართა.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის თანახმად, 2018 წლის 9 ივნისს, სოციალურ ქსელში შ რ-სგან მეგობრობის თხოვნა მიიღო, რომელსაც მოკლე ტექსტური შეტყობინება მოჰყვა. შეტყობინების თანახმად, შ რ განმცხადებელთან ინტერვიუს მომზადების სურვილს გამოთქვამდა.[1] განმცხადებელი მიუთითებს, რომ 2018 წლის 11 ივნისს, მოპასუხესთან პირველი შეხვედრისას, ინტერვიუს დეტალებზე შეთანხმდნენ, თუმცა, მოპასუხე მას პერსონალური ხასიათის შეკითხვებსაც უსვამდა.

---

[1] **შენიშვნა**: 2018 წლის 9 ივნისის მიმოწერა - **შ რ** „გამარჯობა, პოსტივის გვინდა ინტერვიუ შემოგთავაზოთ რას იტყვით?“ **ა გ** „სიამოვნებით თუმცა რა ფორმატზეა საუბარი და რომელი პოსტვ რომელი განხრა“ **შ რ** „თქვენ პრინციპული თანხმობა გვითხარით და დანარჩენზე მოვილაპარაკებთ“ **ა გ** „ცხადია თანხმობა უარს არ ვამბობ არაფერზე“ **შ რ** „მშვენიერია. რაც შეეხება ფორმატს აქ თქვენი აზრიც მაინტერესებს სალაღობო თუ სერიოზული?“ **ა გ** „თუ ჩემთანაა ინტერვიუ როგორც პერსონასთან მაშინ სალაღობო მგონია თუ საქმეზე მაშინ სერიოზული“ **შ რ** „საქმე ისაა რომ თქვენ საქმე ისე წაიყვანეთ რომ თქვენი საქმე და თქვენივე პერსონა განუყოფელია“ **ა გ** „ამ ეტაპზე დიახ, წლების მერე ალბათ აღარ“ **შ რ** „ჩვენ ახლა გვინდა ინტერვიუ“ **ა გ** „აუ დაწერილი მქონდა და წამეშალა ვოისი რომ მოგწეროთ?“ **შ რ** „მოკლედ გასაგებია. მადლობთ კეთილგანწყობისათვის. მე რომ თქვენხელა ვიყავი გაზეთში დავწერე ინტერვიუში „ღმერთს მაშინ ვიწამებ როცა ერექცია აღარ მექნება თქო“ ასე რომ მე მესმის თქვენი დიდი ამბავი ატყდა მაშინ მომწერეთ“ **ა გ:** „დრო ნამდვილად იცვლება“ **შ რ** „ეს გარდაუვალია“ **ა გ** „თან ტემპი აკრეფილია და განმცხადებლებიც სულ იქნებიან რეიტინგს რომელი მიმართულებაც წაადგება იმას მივყვეთ ალბათ უფრო გასართობი მაინც ? ჰაჰას ქვეყანაში ვართ“ **შ რ** „იქნებ თქვენი ტელ მომცეთ და დაგირეკავთ როცა ჩვენ ჩამოვყალიბდებით“ **ა გ** „უი ისე თქვენ ერთ-ერთ თანამშრომელს ვარ შეპირებული გადმოგირეკავთ მეთქი“ **შ რ** „ჩათვალეთ რომ პირობა შეასრულეთ“ **ა გ** „იმასაც გადავურეკავ ვიცი რაც უნდა კადრის აღება აპარატზე და ის ჯერ არაა გმადლობთ“ **შ რ** „დროებით“

შენიშვნა: 2018 წლის 16 ივნისის მიმოწერა **ა გ** „გამარჯობა, ექსპო ჯორჯიაში მომიწია მისვლა და ძალიან კარგი ადგილია დიდი ტერიტორიაცაა და გარშემო რაც ხდება იმის კომენტირებაც შეიძლება“ **შ რ** „აჰა“

ინტერვიუზე შეთანხმების მიუხედავად, განმცხადებელს არავინ დაუკავშირდა. განმცხადებლის მითითებით, 1 თვის შემდეგ, 2018 წლის 7 ივლისს, ინტერვიუს საკითხი თავად მოიკითხა.[2] 2018 წლის აგვისტოში, შ რ კვლავ დაუკავშირდა განმცხადებელს და შეხვედრა სთხოვა.[3] განმცხადებლის განმარტებით, **2018 წლის 10 აგვისტოს,** შ რ-ს „პოსტ ტივის" ოფისში შეხვდა.[4] განმცხადებლის თქმით, პირველი შეხვედრიდან და სასამართლოს მიერ შ რ-ის მიმართ სექსუალური შევიწროების დადგენიდან გამომდინარე, გაუჩნდა ეჭვი, რომ მოპასუხეს შესაძლოა მისი სექსუალური შევიწროება ეცადა, შესაბამისად, თავდაცვის მიზნით განმცხადებელმა შეხვედრის აუდიო ჩაწერა გადაწყვიტა.

განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში მასსა და შ რ-ს შორის გამართული დიალოგის აუდიო ჩანაწერი წარმოადგინა.[5] განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ აუდიო ჩანაწერიდან, მცირედი ხანგრძლივობით, ამოღებულია მისი პოლიტიკური, ოჯახური და პირადი პრეფერენციები, რომელიც არ ეხება სექსუალური შევიწროების თემატიკას; ასევე, ამოღებულია რამდენიმე სახელი და გვარი იმ პირებისა, რომლებიც დიალოგში არაეთიკურად იყვნენ მოხსენიებულნი; ჩანაწერიდან ამ წუთების ამოღების მიზეზი, მოპასუხე მხარის მიერ ინფორმაციის დამახინჯებულად გასაჯაროების მოსალოდნელობა იყო. განმცხადებლის განმარტებით, სახალხო დამცველის აპარატს ჩანაწერის მოპასუხისთვის გადაცემის გარეშე გაცნობა სთხოვა, თუმცა, უშედეგოდ.[6]

აუდიო ჩანაწერის მიხედვით, საუბრის ქრონოლოგია შემდეგია:

- *01:15 წუთიდან, - **შ რ განმცხადებელს:** „როგორ ხარ?" „რა იყო შემვიწროებლებს ეძებ?" - **განმცხადებელი:** „არა", - **მოპასუხე:** „სტატუსი რომ დაწერე". განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ეს ფრაზა ცხადყოფს დიალოგის მოსალოდნელ თემატიკას; 01:54 წუთი: - **შ რ განმცხადებელს:** „როგორ არ იცი, რო ზოგადად, არის სოციო-კულტურული ფენომენი, საქართველოშიც და უცხოეთშიც, მაგრამ აქ განსაკუთრებით, რომ ქალმა არ იცის უნდა თუ არა, თუ შენ ზუსტად მიახვედრებ და ცოტა დააძალებ, მაშინ გადაწყვეტს, მიხვდება, რომ უნდა"; განმცხადებლის მითითებით, ამ ფრაზებით მოპასუხე ცდილობდა მისი განწყობა მოსალოდნელი სექსუალური ურთიერთობისთვის მოემზადებინა, თუმცა, იმ მომენტში ვერ აანალიზებდა, რომ ეს შინაარსი მას მიემართებოდა;*
- ***05:25-წუთიდან, საუბარი არაა გარჩევადი, რადგან მხარეებმა დაახლოებით 20 წუთი აივანზე ისაუბრეს;***

---

[2] **შენიშვნა:** 2018 წლის 7 ივლისის მიმოწერა **ა გ** „გამარჯობა, გავდივარ ქალაქიდან და ვაკეთებთ ინტერვიუს კიდევ?" **შ რ** „ჰაი მოგწერ"

[3] **შენიშვნა**: 2018 წლის 9 აგვისტოს მიმოწერა: **შ რ** „Hi თბილისში ხარ?" **ა გ** „გამარჯობა, ახლა კი" **შ რ:**„შეგიძლია გამოიარო ტევეში?" **ა გ** „დღეს არა, ხვალ 12 საათისკენ კი" **შ რ** „ოკ **ა გ:** „კონკრეტულად რასთან დაკავშირებით იმ გადაცემას ეხება ისევ?" **შ რ:** „რაღაც გავაკეთო მინდა ან ის გადაცემა ან სხვა რამ არის იდეები და გეტყვი" **ა გ:** „კარგი, გავიაროთ"

[4] **შენიშვნა:** განმცხადებლის 2018 წლის 9 აგვისტოს სტატუსი: *„ფრენდს ევასება ქმრიანი გოგო, იმასაც ევასება ეს მაგრამ არ „ღალატობს". ფრენდმა გადმოიყვანა სამსახურში ეს გოგო თავის დეპარტამენტში და ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ახლოს ყოფნით. არის თუ არა ეს სექსუალური შევიწროვება?!"* **შენიშვნა:** 2018 წლის 10 აგვისტოს მიმოწერა **ა გ:** „ხართ"? **შ რ**: „კი?" **ა გ:** „ამოვალ ეხლავე"

[5] **შენიშვნა**: აუდიო ჩანაწერი მიმდინარეობს 02:15:32 წამი, ამდენად, მისი ხანგრძლივობის, მოსმენადობის და მოცულობის გათვალისწინებით, წინამდებარე გადაწყვეტილებაში ასახულია აუდიო ჩანაწერის ძირითადი ნაწილები

[6] **შენიშვნა:** სახალხო დამცველის აპარატმა განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად სრულად გაუგზავნა შ რ-ს; სახალხო დამცველის აპარატი ვერ უზრუნველყოფს მოპასუხის სახალხო დამცველის აპარატში მოყვანას და ადგილზე ჩანაწერის მოსმენას, მით უმეტეს, მოპასუხეს საქმის მასალების გადაცემაზე უარს ვერ ეტყვის

- *25:31 წუთი, - **შ რ განმცხადებელს:** „შენ ერთი პრობლემა გაქვს, როგორც წამყვანს, არ გამინაწყენდები, პროფესიონალი ვარ მაგ საკითხში“. **განმცხადებელი:** „არ ვარ მე წამყვანი, მაგრა მეზარება წამყვანობა“; 25-ე წუთი: **შ რ განმცხადებელს:** „იცი, როგორი ხარ, ფორმები, ძუძუები, ტრაკი, ყველაფერი ქალის გაქვს, მაგრამ მზერა და აურა კაცის“; 26:08 წუთი: **მოპასუხე:** „როდესაც მასობრივ მაყურებელზე გადიხარ, ეს დიქოტომია ხო რაღაცნაირად უნდა აიხსნას, ყველა გადაცემას, მით უმეტეს შენსას, უნდა ჰქონდეს სექსუალური ქვეტექსტი, ჩვენი პროფესია არის ყველაზე ცოდვის მატარებელი პროფესია, იმიტომ, რომ ჩვენ ამპარტავანი ხალხი ვართ, ჩვენ გვიყვარს, როცა გვიყურებენ და ჩვენზე ანძრევენ, - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ამ განცდას/სიამოვნებას რომ იღებ, ეს არის ჩვენი პროფესიის ანბანი, შენი გადაცემა უნდა იყოს ისეთი, რომ წარმოიდგინო, როგორ ანძრევენ შენზე ტიპები და, ამ მხრივ, შენი ეს მასკულინური აურა, გარკვეულ პრობლემას ქმნის“. 27:32 წუთი: - **შ რ განმცხადებელს:** „შენ გინდა, გახდე სექს დივა?“ - **განმცხადებელი:** „არა“; - **მოპასუხე**: „აბა, კადრში რა გინდა, მიხვდი?“ 28:20 წუთი: - **შ რ განმცხადებელს:** „შენ, იგზიბიციონისტი ხარ? **განმცხადებელი პასუხობს, რომ საკმაოდ კონსერვატორი ადამიანია და არ აქვს ფეტიშები**;*
- *განმცხადებლის მითითებით, 28:50-წუთზე, ეჭვქვეშ აყენებს მოპასუხის მტკიცებას საკუთარი თავის ფლობის შესახებ, რადგან უკეთ იცის მისი შინაგანი განწყობების შესახებ; საპირწონედ, მოპასუხე განმცხადებელს სთავაზობს ეთერის დროს ტრუსის არ ჩაცმის იდეას და ცდილობს მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების დაკნინებას;*
- *29-30-წუთებზე, **მოპასუხე მიუთითებს**: „შენი პრაგმატულობა და შენი, აი, ეს კაცის საწყისი“, - რაზეც განმცხადებელს ეცინება და **მოპასუხე აგრძელებს** „აი, ეხლა, ხო ხედავ, ნელ-ნელა გალღვი,... როცა ხარ ფლირტის ხასიათზე, როცა ხარ თავისუფალი, აი, ეგ მდგომარეობა უნდა დაიმახსოვრო და გადაიტანო იქ“; - **განმცხადებელი:** „ჰმ“; განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მისი რეაქცია არის დაძაბულობის შედეგი და ჩანაწერის მოსმენის დროს, შეუძლებელია ინტონაციების უგულებელყოფა; - **შ რ განმცხადებელს:** „აი, ესეთიც არავის უნდა, როცა შენ ტკბები საკუთარი ლაპარაკით... მაგრამ არ ფიქრობ, რომ შენი ძუძუები და ბაყვები...“ ბოლო სიტყვების მოსმენისას, განმცხადებელი იცინის;*
- *36:59-წუთზე, - **შ რ:** „შენ უნდა ეცადო, რომ ეს იყოს ყველასთვის საინტერესო, ყველასთვის გასაგები და სექსუალური, უნდა აუდგეთ შენზე“ **განმცხადებელი:** „ხოდა, ისედაც უდგება ამ ხალხს და მაშინ, ძაან ადვილად აღგზნებადები ყოფილან და იყვნენ ესე“; 37:24-წუთზე **განმცხადებელი:** „აუცილებლად იმ პრინციპებით უნდა იცხოვრო?“ **შ რ:** „რა თქმა უნდა, აუცილებლად არა, მაგრამ ჭკვიან ხალხს ხო უნდა დაუჯერო, არა?!“ **განმცხადებლის განმარტებით,** შ რ-ს მხრიდან მასკულინურად მოხსენიებამ, საბოლოოდ, საკუთარი თავის მასკულინურად აღქმის ტრამვამდე მიიყვანა;*
- *41:00-წუთზე, **შ რ განმცხადებელს:** „შენ, შეგიძლია, პროდუსირება რაღაცეების, მაგიტო გითხარი პატარა ვიდეოები“; **განმცხადებელი შ რ-ს პასუხობს:** „რო მერე პორნო გადავიღო?“; 46:13-წუთზე, **განმცხადებელი:** „შეიძლება ახლა რაღაცის თქმა მერიდებოდეს, მაგრამ... აღარ მერიდებოდეს, ეს გარყვნილებაა, რაღაცნაირი, მაგრამ“; **შ რ:** „როგორი?“; **განმცხადებელი:** „აი, უნდა დაძლიო, რომ ხალხი ამას ისმენს, რა დედის ტრაკის გინება, დიდი ხანია მე არ მერიდება“; **შ რ:** „მე შენი მ***** მოწოვა მინდა, უნდა უთხრა, პირდაპირ, ხო? **განმცხადებელი:** „ხო“; **შ რ:** „არაა ეგ ცუდი“; **განმცხადებელი:** „კარგია“;*
- ***განმცხადებლის განმარტებით,** ჩანაწერის განმავლობაში, **მოპასუხე მას საკუთარ თავს სთავაზობს კითხვითი ფორმით,** კერძოდ: „რა არის საჭირო იმისთვის რომ ესე გაგიჟებით მოგეწონოს მამაკაცი? ინტელექტი? ძალაუფლება? ცინიზმი?“ ამ მახასიათებლების ერთობლიობა წარმოადგენს მოპასუხის პერსონისთვის მისაბაძ პროტოტიპს;*
- *<u>48-ე წუთიდან, განმცხადებელი მოპასუხეს უყვება მის ძალადობრივ გამოცდილებაზე, რაც მისი განმარტებით მნიშვნელოვანი იყო მისი გულწრფელობის გაზიარების კუთხით, თუმცა, ეს თემა წყდება ორივე მათგანის სამონტაჟო ოთახში გასვლის გამო;</u>*

- *განმცხადებელი მიუთითებს, რომ ფილმიდან <u>სექსუალური შევიწროების მაგალითი,</u> მოყავს, სადაც სინათლე ამხელს მოძალადეს და აკავებს მას ძალადობის ჩადენისგან; შ რ-მ ფილმის სახელწოდება განმცხადებელს გაუსწორა და რუსული თემატიკა გრძელდება „თრეშ ჟანრის“ ნიმუშების მოსმენით, რამაც მასზე ჰიპნოზის ეფექტი მოახდინა;*
- ***შ რ:** 1:17-საათზე: „რატო გელაპარაკებოდი ამდენს, შენს სატელევიზიო კარიერაზე, რა, რაღაცეები რომ გითხარი, თუ დაიმახსოვრებ“; **განმცხადებელი:** „გამომადგება“? **შ რ:** „გამოგადგება, რა, შენ უნდა იცოდე, ჩოტკად, რა გინდა და მე მგონი, იცი, სოჩოტკე, მაგ მხრივ, გაქვს“; - **შ რ:** „ქალის მ****** გინდა? ქალთან სექსი ისე, რომ შენ იყო დომინირებული?“;- **განმცხადებელი:** „მმ“; - **შ რ:** „არა ხო?“ **განმცხადებელი:** „მანდ არი...“; **შ რ:** „არაფერი არაა, მანდ არის კონკრეტული შეკითხვა - კი თუ არა?“; **განმცხადებელი:** „ეხლა გავიხსენე, დავფიქრდი და მაგაზე დიდი ხანია პასუხი მაქვს, ეხლა ხო არ მომიფიქრებია, რაც კაცის მიმართ მაინტერესებს, ზუსტად იმის საპირისპიროა ქალის მიმართ, მე მევასება მარტო ქერა, სილიკონისძუძუებიანი, დებილი ნაშები, კაი ქალთან მე არასდროს არ ვიქნები“; **შ რ:** „ქერა, სილიკონიანძუძუებიან დებილ ნაშებს რას უზამ? მ******?“; **განმცხადებელი:** „კი“; **შ რ:** <u>„ჰოდა კაცი ხარ შენ“;</u> - **განმცხადებელი:** „ჰოდა მერე რა“.*
- *1:21 საათზე, **შ რ მოპასუხეს:** „რაღაც არის შენში ჩემთვის მიმზიდველი, მაგრამ“... არის ამ პატარა გოგოში რაღაცა, რაც მიზიდავს, მაგრამ არის წინააღმდეგობაა რაღაცა“, - <u>არგუმენტი მოყავს ფილმიდან „ტუტსი“ და მისი პერსონის განკაცების ნარატივს აგრძელებს; განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას არ აქვს სურვილი მოპასუხისთვის იყოს მიმზიდველი; 1:22 საათზე **„ის რომ მე არ მინდა რომ ვიყო მიმზიდველი“;***</u>
- *1:25-საათი, **შ რ განმცხადებელს:** „მიუხედავად იმისა, რომ შენ გაქვს ძალიან დიდი სექსუალური ენერგია, არ ასხივებ ამას, ხოდა, ეს არი ძაან უცნაური ჩემთვის“; **განმცხადებელი:** „რო არ ვასხივებ? რატო უნდა ვასხივო, რო გამომადგეს?“ **მოპასუხე:** „ზოგადად, სხვანაირად არ უნდა შეგეძლოს, …მიუხედავად იმისა, რომ შენ მე გესიმპატიურები, ამ მომენტში, როგორც ჭკვიანი კაცი, შენ არაფერს არ ასხივებ“; 01:27 საათი, **განმცხადებელი:** „ხოდა, ეგ ჩემი პრობლემაა?“ **მოპასუხე:** „არა, პრობლემა არ არის, მაინტერესებს, რატო თქო? პრობლემა ვაბშე არ არის, რატო-თქო, რატო?“ **განმცხადებელი:** „არ ვიცი“ ; - **მოპასუხე:** „არა, იცი, პროსტა არ გინდა, ამაზე ლაპარაკი“; **შ რ განმცხადებელს:** „ათავებ, შენ, ტ****** დროს, ჩესნად მითხარი“.... 1:31 საათი, **მოპასუხე:** „რეალიზაციის წყაროები არის დახშული“; **განმცხადებელი**: „რატო უნდა მჭირდებოდეს მაგის გამოშვება?! მე ხო არ მაწუხებს, ნორმალური არი ეგ“; **მოპასუხე:** „ნუ მებრძვი ეხლა“;*
- *1:33-წუთზე, **<u>განმცხადებლის მითითებით, მოპასუხე სკამიდან დგება, განმცხადებელს მიუახლოვდა, მხარზე და კისრის მიდამოში ხელი მოკიდა და მისი მოფერება დაიწყო; განმცხადებლის რეაქცია მყისიერი გაწევაა,</u>** რასაც **მოპასუხის** მხრიდან რეპლიკა მოყვა: „კაი, ეხლა"; **განმცხადებელი:** „არ მიყვარს ეგეთი რაღაცები“; **მოპასუხე**: **<u>„არ გიყვარს როცა მამა-შვილურად გეფერებიან“?</u> განმცხადებელი:** „არა, იმიტომ, რომ მამაჩემზე მაგარი აკრეფილი მაქვს“;*
- *1:44 საათზე, **მოპასუხე განმცხადებელს სთხოვს** მისი **<u>ინტიმური</u> ფოტოების** დათვალიერებას; განმცხადებლის აღნიშვნით, ფოტოების ჩვენება სექსუალური ურთიერთობის წინაპირობა არ იქნებოდა და აღნიშნავს, რომ ვისაც „ნუდს“ აჩვენებს, 10 კაციდან შეიძლება ერთთან ჰქონდეს სექსუალური კავშირი;*
- *1:49 საათზე, **მოპასუხე ეკითხება განმცხადებელს**,- „რატო აჩვენებს მის ინტიმურ ფოტოს, რასაც სხვას არ აჩვენებდა“, **განმცხადებელი** პასუხობს: ინტიმურ და არაინტიმურ ფოტოს შორის კონტრასტი რომ იყოს გასაგები. **მოპასუხე:** „რატო გინდა, რომ კონტრასტი იყოს გასაგები?“ **განმცხადებელი:** „რატო არა“ - **მოპასუხე:** „შენ თქვი, რომ ყველას არ აჩვენებ, მე რატო მაჩვენე“; **განმცხადებელი:** „არა, ეხლა იმანაც თუ ტვინი გამიღუნა, ვაჩვენებ“; **მოპასუხე:** „ნუ ეძებ გამოსავალს, <u>შენ ხო ვაჟკაცი გოგო ხარ, ვაჟკაცი,</u> თქვი, რატო მაჩვენებ“; **განმცხადებელი:** „მაგიტომ, კონტრასტის გულისთვის“; **განმცხადებლის თქმით, მოპასუხემ** კიდევ ერთხელ **გაუსვა ხაზი** მის **მასკულინურ** ბუნებას“;*

- *1:57 საათზე, **განმცხადებელი:** „მე ეხლა რატო არ მივდივარ მაინტერესებს, რაღაცა ისეთი მართლა დასკვნა“; **მოპასუხე:** „რა დასკვნა? შენ, იმიტომ არ მიდიხარ, რომ გევასება ჩემთან ერთად ყოფნა... გაინტერესებ, მე, საინტერესო ვარ შენთვის“; **განმცხადებელი:** „ხო, მარა, მაგასაც ხო აქვს რაღაცა თავი და ბოლო, დღეისთვის ბოლოა, კი, მაინტერესებს დასკვნა დღეს რაც ვილაპარაკეთ“; **მოპასუხე:** „არაფერი დასკვნა არ არსებობს, წადი, შენ გამოიტანე დასკვნა“; **განმცხადებელი**: „მერე რა?“; **მოპასუხე:** „რა, რა? ფული უნდა გადაგიხადო?“ **განმცხადებელი:** „რო არ გველაპარაკა დღეს, რაც ვილაპარაკეთ, რა, მერე?“; **მოპასუხე:** „რაღაცას დავკარგავდით, ვერ გავერთობოდით ისე, როგორც ამ ორ საათში გავერთეთ“; **განმცხადებელი:** „რა გართობა ეს იყო?“ **მოპასუხე:** „არ მოგეწონა? აბა, რატო იყავი აქ? ხო შეიძლებოდა, ნებისმიერ მომენტში წასულიყავი?“; **განმცხადებელი:** „კი“; **მოპასუხე:** „რატო არ წახვედი?“; **განმცხადებელი:** „თავი და ბოლო რომ ჰქონოდა ამ ყველაფერს?“; **მოპასუხე**: „ეგ, ყ** ბაზარია“; **განმცხადებელი:** „რაღაცნაირად რომ იწყება საუბარი, ხომ უნდა მივიდეს ფინალამდე, კულმინაციამდე“; **მოპასუხე:** „რა არის ფინალი? კულმინაცია?“; **განმცხადებელი:** „არაფერი... რაღაც შეკითხვებს პასუხი გავეცით“; **მოპასუხე:** „მე არ გამიცია, შენ გაეცი“. 1:59 საათი, **განმცხადებელი:** „სტანდარტულის იქეთ არ გავხსნილვარ მე“; **მოპასუხე:** „კი ბატონო, გეთანხმები, რომ შენ შეინარჩუნე სტანდარტული...არ გეკამათები, მე, არასტანდარტული ჩვენს შორის არაფერი არ მომხდარა, ძაან კაი“;*
- *2:04 საათი, **შ რ განმცხადებელს:** „შენ მე გევასები, მოგეწონე, საინტერესო ტიპი ვარ. ჩემნაირი ტიპი არ გინახავს“;*
- *2:09-საათი, **შ რ განმცხადებელს:** „ჯიუტობ, პატარა გოგა ხარ და ტვინს ტ****, რა, აი, იბრძვი რაღაცას, შენ გზას მიყავხარ, ამტკიცებ. რა ჩემ ყ*** გინდა, რაღაცეებს მისდიე, შენ სხეულს, რა, დადექი რაკამ და მ*********, რა... ხოდა, რა იცი, იქნებ, კარგია ვიღაცის ხელში სათამაშო რო ხარ. ტ******* დროს რო გცემენ გევასება ?“; **განმცხადებელი:** „კი“; **მოპასუხე:** „ბინძურ ბ*** რომ გეძახიან?“; **განმცხადებელი:** „კი“; - **განმცხადებელი მოპასუხეს:** „ეგეთი ხალხი არ არის, ეგეთი კაცები არ ჩითავენ“; **მოპასუხე:** „ჩითავენ, მე ვარ ეგეთი“; **განმცხადებელი:** „ხო მარა, თქვენთან არ მინდა სექსი“; **მოპასუხე:** „გასაგებია რო არ გინდა, ჯერ ერთი, როგორ არ გინდა, მაგრამ არ გინდა, ანუ გინდა, მაგრამ არ გინდა“ ; **მოპასუხე:** „აი, იმენა არ მინდა, კაი, ეხლა“;*
- *2:11 საათზე, **მოპასუხე:** „რატო გინდა ჩემთან სექსი?“; **განმცხადებელი:** „არ მინდა“; **მოპასუხე:** „არა, არა, ერთი წუთით, არ გვექნება, არა, ეგ სხვა არის“; **განმცხადებელი:** „იდეურად არ მომწონს“; **მოპასუხე:** „კი ბატონო, იდეურად, ეგ ძაან მნიშვნელოვანია, მაგრამ, აი, ეს, სიცხოველით, რატომ გრძნობ, რომ ჩემთან კარგი იქნება“; **განმცხადებელი**: „სექსი არა, ეხლა ხო ვლაპარაკობთ, ესეც ხო საინტერესო არის, ეს უფრო კარგია“ ; **მოპასუხე:** „ბლა, ბლა, ბლა, ყ****** ეგ, ლაპარაკი ქალს და კაცს შორის არ არსებობს, ამ ბიზნესში ხარ, ხო იცი, რომ ეგ ყ** ბაზარია რა“; **მოპასუხე:** „რატო გევასები, თუ გევასები?“; **განმცხადებელი:** „იმიტომ, რომ გაგების რესურსი არის“; **მოპასუხე:** „მაშინ, რატომ გინდა ჩემთან ს****“?“; **განმცხადებელი:** „არ მინდა“; **მოპასუხე:** „რა თქმა უნდა არ გინდა, მაგრამ იმის მიღმა გეკითხები, ტ***** თამაშის გარეშე“;*
- *2:14-საათი, **განმცხადებელი:** „კაი, წავედი“; **მოპასუხე:** „ყველაფერი კარგად არის, სამშაბათს გაგაგებინებ“ **განმცხადებელი:** „ხოდა, რამე წესიერი ლოკაცია იყოს, მოთხოვნა კი არ არის, თხოვნაა“; **მოპასუხე:** „ხო კარგად გაერთე?“ **განმცხადებელი:** „იგივე, რა, კარგია, ჩვენ შორის შეიძლება, რაღაც საუბრები იყოს“ **მოპასუხე:** „რა თქმა უნდა, მეგობრობაზე, ცხადია.“; **განმცხადებელი:** „თან ბუნებრივი იქნება, ეგ გამოგონილი მეგობრობა არ იქნება და ეგ არის კარგი“;*
- *<u>მხარეები თანხმდებიან შემდგომ შეხვედრაზე.</u>*

განმცხადებლის თქმით, განცდილი მარცხის დასაძლევად აქციაზე გაემართა, რაც მისი მხრიდან ტრავმის დაძლევის მექანიზმი იყო. განცხადების თანახმად, ინტერვიუს თაობაზე თანამშრომლობა არ შედგა. 2019 წელს, მოპასუხემ განმცხადებელს სოციალურ ქსელში კვლავ

მისწერა.[7] 2020 წლის სექტემბერში, „თბილისი მოლის“ შესასვლელთან, განმცხადებელი მოპასუხეს შეხვდა და უარყოფითი შეგრძნება გაუჩნდა. ძლიერი გამკლავების მექანიზმების ქონის მიუხედავად, შ რ-მ განმცხადებელზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა და ჩამოუყალიბა საკუთარი თავის მასკულინურად აღქმის კომპლექსი. საბოლოოდ, ამ კომპლექსმა განმცხადებლის თვითშეფასებაზე გავლენა მოახდინა.

2023 წლის მარტში, ვინაიდან სხვადასხვა ქალმა მოპასუხე სექსუალურ შევიწროებაში ამხილა, განმცხადებელმა გადაწყვიტა მისი ამბის მოყოლაც. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ფსიქოთერაპიულ სესიებს გადიოდა და ფსიქოლოგმა **2023 წლის 15 ივლისს** ცნობა გასცა.[8]

საგულისხმოა, რომ საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატმა, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, შ რ-ს ორჯერ მიმართა[9]; მოპასუხეს ასევე განემარტა მტკიცების ტვირთის საკითხი სექსუალური შევიწროების საქმეებში, მიუხედავად ამისა, მოპასუხეს გამოთხოვილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატში არ წარმოუდგენია.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. სექსუალური შევიწროების შესახებ სამართლებრივი სტანდარტი და მისი აკრძალვის მნიშვნელობა

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და აღიარებს დისკრიმინაციის ფორმად. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3[2] პუნქტის თანახმად, ***სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური***

---

[7] **შენიშვნა:** 2018 წლის 10 აგვისტოს შემდეგ, <u>2019 წლის 20 იანვარს</u> **შ რ:**„ბმულს უზიარებს განმცხადებელს“ **ა გ:**„აქ იმედია?“ **შ რ:**„ხო“ **ა გ:** „ეს პილოტი ჩემთან არაშემთხვევით მოხვდა? ცხადია ვუყურე“ **შ რ:**„ხო ჩვენი პროდუქტია და იმედზე გავა იმედია რო გავა“ **ა გ:** „იმედია მოიცა რას ამბობს მონოლოგში ოთხშაბათს ათზეო და კიდე რა? მაგათ როდის აქვთ თავისუფალი პრაიმ-თაიმი 9-ზე რო სერიალი გადის ყოველ დღე“ **შ რ:**„სულ თავისუფალი არა აქვთ? გვიანი პრაიმი“ **ა გ:** „კი, ჩვენც ვფიქრობდით იმედს ნუ მე არა, ირინა“ **შ რ:**„იმედი მეტი რეიტინგია, მაგრამ ინტერნეტისაა თქვენი გადაცემა“ **ა გ:** „ვიცი რომ მეტი რეიტინგია არ ვარ წინააღმდეგი იმედის, ამ ფორმატში არა ოღონდ და მე რაც მინდა იმას მიშვება უნდა მე რაც მინდა იმას ჩემთვის გავიკეთებ საბოლოოდ ხო ეტყობა ამ პრომოს ტორონჯაძის დამონტაჟებული როა სულ ჩხუბებია“ **შ რი:** „ეს გადაცემა ასეთი ფორმატის არ იქნება ყურებადი უფრო გასართობი უნდა იყოს“ **ა გ:**„მომეწონა თქვენი სკეჩი, ბევრჯერ გამეცინა:) შავია ეს, მეორე პილოტია, ესეც ვცადეთ და რა თქმა უნდა უფრო მოყვითალო ბევრად კარგია:) არ მაძლევენ გასაქანს, ზოგადად ეს გადაცემა სტარტისთვის თორემ 10 სეზონი ვერ გაგრძელდება მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს რო რადგან სამუდამო არაა რამეს დავაკლებ, მინდა რომ ხარისხიანი იყოს:)) თქვენი გოგოებიდან თითქმის ყველა ვიცანი, ის ისაა მ გ, ნ ვიცოდი, ის ლამაზი გოგო შოუში რო მღერის მგონი ეგაა, ბ ვიცოდი, მ არ ვიცი ვინაა, უცებ როგორ ხაარ მეგონა“

[8] **შენიშვნა:** ნ კ-ს 2023 წლის 15 ივლისის დასკვნაში აღნიშნულია, რომ [redacted] შედგა (ამ პერიოდამდე) 5 ფსიქოთერაპიული სესია კონსულტაციების შედეგად ა-სთან არ ფიქსირდება ემოციური დისბალანსი და შფოთვა. მისი თავდაცვის წამყვანი მექანიზმი არის დიფლექსია რაც გულისხმობს, რომ ემოციურად არ ეხება პრობლემას. მუშაობის ფოკუსი არის წარსული გამოცდილებების გავლენა დღევანდელ ცხოვრებაზე, შესაბამისად ძირითად მნიშვნელოვან გამოცდილებებად ფოკუსში აქცევს სკოლას, სოციუმს, სექსუალურ გამოცდილებებს, მშობლებსა და მათი აღზრდის სტილის გავლენებს. დასკვნაში მითითებულია, რომ ა-ს არ აღენიშნება მწვავე ემოციური ფონი მას შეუძლია რეალობასთან კონტაქტი და სრულიად აცნობიერებს საკუთარი ემოციების და ქცევების თავისებურებებს

[9] 2023 წლის 21 სექტემბრის N13-4/9511 და 2023 წლის 23 ოქტომბრის N13-4/10439 წერილები

ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

სექსუალური შევიწროების აღმოფხვრისკენ არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW), ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (სტამბოლის კონვენცია), ძალადობის და შევიწროების წინააღმდეგ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია (N190) და სხვა. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის („სტამბოლის კონვენცია") მე-40 მუხლი სექსუალურ შევიწროვებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს. კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შენიშვნა, შეკითხვა, ხუმრობა; ასევე, ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა, შეხება, მოფერება, ჩქმეტა ან ფიზიკური თავდასხმა. ფიზიკურ შეხებაში იგულისხმება ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს. ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა იყოს ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი და აკნინებდეს მის ღირსებას.[10]

2002/73/EC, 2004/113/EC და 2006/54/EC დირექტივები სექსუალური შევიწროების შემდეგ დეფინიციას გვთავაზობს: „სექსუალური შევიწროება არის ნებისმიერი სექსუალური ფორმით გამოხატული, არასასურველი ვერბალური, არავერბალური ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს". დირექტივები ითვალისწინებს იმასაც, რომ დისკრიმინაციის ფორმაა არა მხოლოდ შევიწროება და სექსუალური შევიწროება, არამედ ისიც, თუ პირი არასახარბიელო მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული იმის გამო, რომ ის მსგავს ქცევას დაეთანხმა ან უარყო.[11]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-17 მუხლის [ძველი რედაქცია] პირველი პუნქტის *მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი…ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია... ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას…*[12]

---

[10] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, § 208, გვ.35, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rm.coe.int/ic-and-explanatory-report/16808d24c6

[11] Directive 2002/73/EC , მუხლი 2(4); Directive 2004/113/EC, მუხლი 4(3); Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council on the implementation of the principle of equal opportunities and equal treatment of men and women in matters of employment and occupation (recast), 05/07/2006, მუხლი 2(2)

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ", II-30.

სექსუალური შევიწროება ყოველთვის იწვევს პირის ღირსების შელახვასა და დამცირებას. სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, რამდენადაც, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე.[13]

სექსუალური შევიწროვება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება თანასწორი მოპყრობის პრინციპს და დამაზიანებელი ეფექტი აქვს იმ ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ვის წინააღმდეგაც არის მიმართული.[14]

საგულისხმოა, რომ სექსუალური შევიწროების დადგენის ტესტი განსხვავებულია დისკრიმინაციის დადგენის ტესტისაგან. კერძოდ, თუკი პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის საქმეებში, საჭირო არის შესადარებელი სუბიექტი, ე.წ. კომპარატორი და დაცული ნიშანი, სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლს **კომპარატორი არ ჰყავს,** ამასთან, სექსუალურ შევიწროებას **არ აქვს გამართლება,** თავისთავად არის არასწორი ქმედება თავისი პოტენციური შედეგებიდან გამომდინარე, რაც თავის თავში მოიცავს შევიწროების მსხვერპლის ღირსების შელახვას.[15]

2.2. მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი

დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებთან მიმართებით კანონმდებლობა ექსპლიციტურად განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა სახალხო დამცველს/სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ამდენად, სავარაუდო შემავიწროებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მხრიდან არასასურველ სექსუალური ხასიათის ქმედებას ადგილი არ ჰქონია. **<u>წინამდებარე საქმის შესწავლის პროცესში, მოპასუხეს განემარტა მტკიცების ტვირთის სტანდარტი, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხეს სექსუალური შევიწროების ფაქტის უარყოფის მიზნით, მისი პოზიცია/არგუმენტები არ წარმოუდგენია.</u>**

---

[13] Ontario Human Rights Commission, *Policy on preventing sexual and gender-based harassment, 7. Burden of Proof, Evidentary Issues*, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-based-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftn154.

[14] The dignity of women at work, a report on the problem of sexual harassment in the member states of the European communities parts I-II, Luxembourg: office for official publications of the European communities, 1988, Michael Rubenstein, page 10-11

[15] საქართველოს სახალხო დამცველი, „პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ“, გვ. 12, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/sakhelmdzghvaneloebi-da-kvlevebi/praktikuli-sakhelmdzghvanelo-seksualuri-shevitsroebis-shesakheb

ამდენად, მოცემული საქმის განხილვისას რამდენადაც, განმცხადებლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის უარყოფის მიზნით, მოპასუხეს თავისი პოზიცია/არგუმენტები არ წარმოუდგენია, სახალხო დამცველი გადაწყვეტილების მიზნებისთვის მხოლოდ განმცხადებლის პოზიციით და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით იხელმძღვანელებს.

2.2.1. აუდიო ჩანაწერის დასაშვებობა

საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე კანონდარღვევით მოპოვებული (ფარული აუდიო ჩანაწერი) მტკიცებულების დასაშვებობის საკითხზე. უზენაესი სასამართლოს განმარტებით:

„კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას.“[16]

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ *ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოებულ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, <u>თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია.</u> ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა*

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმეში პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე (იხ.№ას-1155-1101-2014)

თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.[17]

სექსუალური შევიწროების საქმეები, როგორც წესი, გამოირჩევა ფარულობითა და პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვების სირთულით. მსგავსს შემთხვევებში, ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლისთვის, შესაძლოა, უფლების დაცვის ერთადერთი საშუალება იყოს. სახალხო დამცველის პრაქტიკის თანახმად, ფარული ჩანაწერი დისკრიმინაციის საქმეებში დასაშვებ მტკიცებულებად არის მიჩნეული, შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი განმცხადებლის მიერ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერი, ვინაიდან, მსხვერპლის თავისუფლება, შექმნას მტკიცებულება ხელყოფილია, შესაბამისად, იგი „თვითდახმარებასთან მიახლოებულ მდგომარეობაში“ იმყოფება, რაც მის მიერ ფარულად შექმნილ მტკიცებულებას ლეგიტიმაციას აძლევს.

2.3. სექსუალური შევიწროება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით

წინამდებარე თავში შეფასდება განმცხადებლის მიერ აღწერილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტებს მიემართება და ასახავს თანასწორობის დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, სავარაუდო სექსუალური შევიწროების მიმართულებით განხორციელებული სამართლებრივი რეაგირებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგებს.

საქმეში არსებული მასალების თანახმად, 2018 წლის 9 ივნისს, მხარეებს შორის პირველი მიმოწერა შედგა, რა დროსაც **შ რ**-მ **ა გ**-ს ინტერვიუ შესთავაზა; ხოლო შემდგომ, ამავე წლის 11 ივნისს, მხარეები ერთმანეთს შეხვდნენ.[18] 2018 წლის 9 აგვისტოს, მოპასუხე განმცხადებელს გადაცემის თაობაზე კვლავ დაუკავშირდა, ხოლო 10 აგვისტოს მხარეები უკვე მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. ამდენად, მხარეებს შორის კომუნიკაცია იყო განმეორებადი და არაერთჯერადი.

იქიდან გამომდინარე, რომ სახალხო დამცველის აპარატში, მხოლოდ 2018 წლის 10 აგვისტოს აუდიო ჩანაწერია წარმოდგენილი, წინამდებარე საქმეში, სახალხო დამცველი იმსჯელებს სწორედ მეორე შეხვედრის ფარგლებში განმცხადებლის მიმართ გამოვლენილი სექსუალური შევიწროების თაობაზე.

---

[17] იქვე

[18] აღნიშნულს ადასტურებს 2018 წლის 10 აგვისტოს ჩანაწერი **შ რ:** „ვერ მოაგენი ხო ზუსტად?“ **ა გ:** „მოვაგენი, მაგრამ, მემგონი მაშინ სხვა კარიდან ვიყავი შემოსული, იქეთა მხრიდან, თუ, არა?“

სექსუალური შევიწროებისთვის დამახასიათებელი ნიშნების საფუძველზე, სექსუალური შევიწროების დეფინიციის მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ სამი ელემენტი, რომელთა კუმულატიური არსებობა იძლევა სექსუალური შევიწროების მოცემულობას. კერძოდ, იმისათვის, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სექსუალურ შევიწროებად შეფასდეს, განხილული უნდა იქნეს **1) ქცევის ფორმა, 2) ქცევის არასასურველობა და 3) მისი შედეგი.**[19]

სექსუალური შევიწროების მაკვალიფიცირებელი ელემენტი არის ქმედების **არასასურველობა მსხვერპლისათვის,** რომელიც მიჩნეულია სექსუალური შევიწროების შესახებ დავის უმთავრეს არსად.[20] განსახილველ საქმეში, სახალხო დამცველის მიერ დადგენილი პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არასასურველობის კრიტერიუმი მრავალმხრივი პერსპექტივიდან შეფასდა: (1) განმცხადებლის სუბიექტური პერსპექტივა – რამდენად აღიქვა განმცხადებელმა სავარაუდო შემავიწროებლის ქმედება არასასურველად; 2) განმცხადებლის ობიექტური პერსპექტივა – რამდენად აღიქვამდა ნებისმიერი გონიერი პირი აღნიშნულ ქმედებას არასასურველად; 3) მოპასუხის სუბიექტური პერსპექტივა – რამდენად იცოდა მოპასუხემ, რომ მისი ქმედება არასასურველად იქნებოდა აღქმული; 4) გონიერი მოპასუხის პერსპექტივა – რამდენად აღქმადი იქნებოდა ნებისმიერი გონიერი პირისათვის, რომ მსგავსი ქმედება არასასურველი იქნებოდა ადრესატისთვის. ამასთან, აღსანიშნია, რომ ამ პერსპექტივებს შორის არასასურველი არ ნიშნავს ნებაყოფლობითს, არამედ გულისხმობს იმის დადგენას, თუ რამდენად მიუთითა განმცხადებელმა (სავარაუდო მსხვერპლმა) საკუთარი ქცევით ქმედების არასასურველობაზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი არასასურველობის შეფასების კონტექსტში აუცილებლად გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია.

სახალხო დამცველი ყურადღებით გაეცნო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ აუდიო ჩანაწერს და მთლიანი საუბრის კონტექსტის და მხარეთა შორის ძალთა დისბალანსის არარსებობის გათვალისწინებით, ვინაიდან სახეზე არ გვაქვს შრომითი ურთიერთობა და არც ორგანიზაციულ-ეკონომიკური ქვემდებარეობა, სექსუალურ შევიწროებას მხოლოდ ფიზიკური შეხების ნაწილში ადგენს.

ა) ფიზიკური ქმედება

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, ჰქონდა თუ არა ქმედებას **სექსუალური შინაარსი/ხასიათი.** ამასთან, აღსანიშნია, რომ „იმის მიხედვით, თუ რა სახით ვლინდება სექსუალური შევიწროება, შეიძლება გაიმიჯნოს „სერიოზული“ და „ნაკლებად სერიოზული“

[19] საქართველოს სახალხო დამცველი, „პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ“, გვ. 36, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/sakhelmdzghvaneloebi-da-kvlevebi/praktikuli-sakhelmdzghvanelo-seksualuri-shevitsroebis-shesakheb

[20] სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და საუნივერსიტეტო პოლიტიკა რედაქტორები თამარ ზარანდია, ნათია ჩიტაშვილი 2021 წელი https://www.tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Tamar_Zarandia.pdf გვ.49-50

სექსუალური ქმედებები. „სერიოზულს“ მიეკუთვნება ისეთი ქცევა, რომელიც ფიზიკურ შეხებას, კონტაქტს მოიცავს, მაგალითად, შეხება, კოცნა, მოფერება, ჩახუტება და სხვა; ხოლო „ნაკლებად სერიოზულად“ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვერბალური და არავერბალური ფორმით გამოხატული ქცევა.“[21]

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველმა დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა განმცხადებლის ნებართვის გარეშე, ფიზიკურ კონტაქტს, კერძოდ, **შეხებას.** ფიზიკურ შეხებას მოპასუხის შემდეგი ფრაზა **ადასტურებს:** ***„არ გიყვარს მამა-შვილურად რომ გეფერებიან“,*** ხოლო ის გარემოება, რომ განმცხადებლისთვის მსგავსი ქმედება **არ იყო სასურველი,** მოწმობს სიტყვები: ***„არ მიყვარს ეგეთი რაღაცები“;*** მოპასუხეს, შ რ-ს, საპასუხო დასაბუთება არ წარმოუდგენია, იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ შეეხო განმცხადებელს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შ რ-ს და ა გ-ს არ ჰქონდათ მეგობრული, ახლო ან კიდევ იმ ტიპის ურთიერთობა, რომელიც მისი მხრიდან უნებართვო ფიზიკურ შეხებას გაამართლებდა. იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო მხოლოდ აუდიო ჩანაწერი და სახალხო დამცველს მხოლოდ მხარეთა შორის განხორციელებული კომუნიკაციის მოსმენა/შეფასება შეუძლია, სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, დაასახელოს, მოპასუხე კონკრეტულად სხეულის რომელ ნაწილზე შეეხო განმცხადებელს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, სახალხო დამცველის შეფასებით, ადამიანის სხეულზე უნებართვო შეხება შეიცავს სექსუალური დატვირთვის ქცევას. სახალხო დამცველი ასევე ხაზს უსვამს, იმის მიუხედავად, რომ მხარეები პირადი და სექსუალური შინაარსის საკითხებს განიხილავენ, ეს არ ამართლებს განმცხადებლისათვის ფიზიკურ შეხებას, ვინაიდან, ამგვარი ქმედება **სცდება** მხარეებს შორის არსებული **დაშვებული ინტერაქციის** ზღვარს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენისთვის არ არის აუცილებელი მოტივის არსებობა, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. ამაზე მეტყველებს სექსუალური შევიწროების დეფინიციის ***ჩანაწერი: „მიზნად ისახავს ან იწვევს“,*** რაც ყურადღებას ამახვილებს სექსუალური შევიწროების შემთხვევებში დამდგარი შედეგის მნიშვნელობაზე, კერძოდ, *ადამიანის ღირსება შეილახა და შეექმნა დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი გარემო.* ის ფაქტი, რომ განმცხადებელი და მოპასუხე ერთმანეთს შეხვდნენ ვერ იქნება მიჩნეული, რომ განმცხადებლისთვის სასურველი იყო შ რ-ს მხრიდან გამოვლენილი სექსუალური ხასიათის ფიზიკური ქცევა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო მოპასუხისთვის და მას უნდა სცოდნოდა, რომ მისი მხრიდან უნებართვო ფიზიკური შეხება შეურაცხმყოფელი იქნებოდა განმცხადებელთათვის.

[21] პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, სახალხო დამცველი, თბ., 2020, 19

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სახალხო დამცველის **შეფასებით,** შ რ-ის მხრიდან **ადგილი ჰქონდა** არასასურველ სექსუალური ხასიათის ფიზიკურ ქცევას, რაც ღირსების შემლახველია.

ბ) სხეულისა და გარეგნობის თაობაზე შეფასებები

რაც შეეხება შ რ-ის მხრიდან განმცხადებლის გარეგნობის, სხეულისა თუ მისი პიროვნული ენერგეტიკის თაობაზე დიალოგის სხვადასხვა მონაკვეთში გამოხატულ შეფასებებს[22], სახალხო დამცველი მათ განიხილავს **სექსიზმის** კონტექსტში. სახალხო დამცველის განმარტებით, ადამიანისთვის რამდენჯერმე იმის მითითება, რომ მას ***მამაკაცის საწყისი აქვს, ქალის ფორმების მიუხედავად,*** არის სექსისტური შინაარსის და მოპასუხისთვის განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო, რომ მისი შეფასებები ადრესატისთვის არასასურველი იქნებოდა. განმცხადებლის კრიტიკა იმის გამო, მისი გარეგნობა არ შეესაბამება მოპასუხის სექსუალობის შესახებ მის წარმოდგენებს, წარმოადგენს სქესის ნიშნით ადამიანის შერცხვენას და ცალსახად სექსისტურია.

თავდაპირველად, მოპასუხე გადაცემის წამყვანის კონტექსტში გამოხატავს მოსაზრებებს და მიუთითებს, რომ განმცხადებელმა მაყურებლებში სექსუალური ხასიათის ემოციები უნდა გამოიწვიოს. მოპასუხის შეფასება, რომ განმცხადებლი არ შეესაბამება ქალის მისეულ წარმოდგენებს, ეფუძნება მცდარ და სტერეოტიპულ წარმოდგენებს იმის თაობაზე, რომ ქალი აუცილებლად ნაზი უნდა იყოს, ან წამყვანს სექსუალობა მოეთხოვება მაყურებელში სექსუალური გრძნობების წარმოსაშობად. შესაბამისად, მოპასუხე ამგვარ შეფასებას გააკეთებდა ნებისმიერი სხვა პირის მიმართაც, რომელსაც მამაკაცური ენერგეტიკის მატარებლად მიიჩნევს.

სექსიზმი გენდერული უთანასწორობის გამოხატულებაა, საუკუნეების განმავლობაში სოციალურ და კულტურულ შრეებში გაბატონებული მასკულინური ე.წ. „პატრიარქალური კულტურის“ გამოძახილია, ისტორიულად ქალებსა და მამაკაცებს შორის არათანაბარი ძალაუფლების შედეგია, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში, არაპროპორციულად უარყოფით და მავნე გავლენას ახდენს ქალებზე. სექსისტური გამოვლინებები ხელს უწყობს ისეთი სოციალური გარემოს შექმნას, სადაც ქალები დამცირებულად გრძნობენ თავს, მათ თვითშეფასება უქვეითდებათ და საქმიანობა თუ არჩევანი ეზღუდებათ, მათ შორის, სამსახურში, პირად, საჯარო სფეროსა და ინტერნეტსივრცეში.[23]

---

[22] **მაგ:** *„იცი, როგორი ხარ, ფორმები, ძუძუები, ტრაკი, ყველაფერი ქალის გაქვს, მაგრამ მზერა და აურა კაცის“, „შენი პრაგმატულობა და შენი, აი, ეს კაცის საწყისი“, „აი, ესეთიც არავის უნდა, როცა შენ ტკბები საკუთარი ლაპარაკით... მაგრამ არ ფიქრობ, რომ შენი ძუძუები და ბაყვები...“, „ჰოდა კაცი ხარ შენ“; „შენ ხო ვაჟკაცი გოგო ხარ, ვაჟკაცი“, „რაღაც არის შენში ჩემთვის მიმზიდველი, მაგრამ“... არის ამ პატარა გოგოში რაღაცა, რაც მიზიდავს, მაგრამ არის წინააღმდეგობაა რაღაცა“*

[23] Recommendation CM/Rec(2019)1 of the Committee of Ministers to Member States on Preventing and Combating Sexism, Adopted by the Committee of Ministers on 27 March 2019 at the 1342nd meeting of the Ministers' Deputies, 4 https://rm.coe.int/168093b26a

2019 წლის 27 მარტს, „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის“ მიხედვით, სექსიზმი **ნიშნავს** *ნებისმიერ აქტს, ჟესტს, ვიზუალურ გამოხატულებას, წერილობით ან ზეპირ სიტყვებს, პრაქტიკას ან ქცევას, რომელიც ეფუძნება კერძო ან საჯარო სფეროში, ინტერნეტ სივრცეში თუ მის გარეთ, სქესის ნიშნით ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არასრულფასოვნად წარმოჩენას* და *მიზნად ისახავს ან შედეგად იწვევს შემდეგ ალტერნატივებს: ღირსების შელახვას; ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან სოციო-ეკონომიკურ ზიანს ან ტანჯვას; დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსებისშემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს; დაბრკოლებების შექმნას უფლებებით სრული რეალიზაციისა და პირადი ავტონომიისათვის; გენდერულ სტერეოტიპების შენარჩუნებასა და გაძლიერებას.*[24]

ევროპის საბჭოს განმარტებით, სექსისტური სიძულვილის ენა ნებისმიერი სახის ვარაუდი, რწმენა, მტკიცება, ჟესტი ან ქმედებაა, რომელიც მიზნად ისახავს ზიზღის გამოხატვას ადამიანის მიმართ მისი სქესიდან ან გენდერიდან გამომდინარე, ან განიხილავს ადამიანს, როგორც ქვემდგომს ან ადამიანი არსებითად დაყვანილია სექსუალურ განზომილებამდე.[25] სექსისტური სიძულვილის ენა მოიცავს ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც ავრცელებს, ახალისებს, ხელს უწყობს ან ამართლებს სქესზე დაფუძნებულ სიძულვილს, მაგალითად ისეთი ფორმით როგორიცაა: slut-shaming (მორალურ ასპექტში შერცხვენა); სხეულით შერცხვენა (,,body-shaming”); შეურაცხმყოფელი კომენტარები გარეგნობაზე, სექსუალურობაზე, სექსუალურ ორიენტაციაზე ან გენდერული როლებზე;[26]

საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „სექსიზმი“ სახელდებით არ არის მოხსენიებული, თუმცა იგი სამართლებრივი რეგულირების მიღმა არ არის დატოვებული. სახელდობრ, სექსიზმის ისევე, როგორც სიძულვილის ენის აკრძალვა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით რეგულირდება, სახალხო დამცველის განმარტებით, სექსიზმი სქესისა თუ გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების სახედ მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს პირდაპირი უკმაყოფილება არ გამოუხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე მის გარეგნობას განიხილავდა, მოპასუხეს თავად უნდა სცოდნოდა, რომ განმცხადებლის გარეგნობის თუ მისი ენერგეტიკის შესახებ საუბარი და მისი მასკულინურად წარმოჩინება არაკომფორტული იქნებოდა განმცხადებლისათვის. საგულისხმოა ისიც, რომ *მოპასუხის ეს მოსაზრება არ არის ერთჯერადი და იგი საუბრის განმავლობაში რამდენჯერმე უმეორებს ა გ-ს, რომ მასკულინურია.*

[24] იქვე
[25] Combating Sexist Hate Speech, Council of Europe Gender Equality Strategy, 2016
[26] იქვე

ასევე სექსიზმის გამოხატულებაა, განმცხადებლის შეფასებაც, როდესაც ამბობს, რომ *„მას მოსწონს ქერა, სილიკონისძუძუებიანი, დებილი ნაშები, და კარგ ქალთან არასდროს იქნება“,* აღნიშნული ფრაზაც მიუთითებს, რომ ქერა ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს საკმარისი გონებრივი შესაძლებლობები და ხდება მათი მორალურ კონტექსტში განხილვა.

გ) სხვა ფრაზები

რაც შეეხება კომუნიკაციისას გამოყენებულ სხვა სექსუალური შინაარსის ფრაზებს[27], უდავოა, რომ მხარეები განიხილავდნენ პირადი და ინტიმური ცხოვრების დეტალებს და მოპასუხე, მისი ინიციატივით იყენებდა სექსუალურად ექსპლიციტურ ენას. ზოგადად, ცხადია, რომ რაც უფრო მეტად პირადი და ინტიმურია საუბარი, მით უფრო მაღალია ალბათობა, რომ ის არაკომფორტული იქნება. სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს განმცხადებლის შეფასებას იმის თაობაზე, რომ შეხვედრის დაწყებისას შ რ-ს მხრიდან „შემავიწროებლებს ეძებ“ ფრაზის თქმა ცხადყოფდა მოსალოდნელი საუბრის თემატიკას. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ამ ფრაზის თქმა მოპასუხის მხრიდან გამოწვეული იყო განმცხადებლის მიერ წინა დღით სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსის გამო, რასაც ჩანაწერშიც ამბობს. სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ვინაიდან სექსუალური შევიწროება ქცევათა და ქმედებათა მრავალფეროვნებით ხასიათდება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, თუ რამდენად არის ქმედება არასასურველი სექსუალური შინაარსის მატარებელი.

ქმედების არასასურველობის შესახებ შემავიწროებლის ინფორმირება, ასევე, თავიდან აარიდებდა სავარაუდო შემავიწროებელს მისი ქმედების სასურველობის, მიმღებლობის შესახებ მცდარი აზრის ჩამოყალიბებას და საბოლოოდ განაპირობებდა სექსუალური შევიწროების შემთხვევების მნიშვნელოვანწილად პრევენციასაც. ამდენად, სექსუალური შევიწროების შემადგენლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, წინაპირობა ქმედების არასასურველობა, მისი ადრესატისთვის განაპირობებს ამ უკანასკნელის ვალდებულებას, აცნობოს ქმედების განმახორციელებელს, რომ ქცევა მისთვის არასასურველი და მიუღებელია.[28] *<u>იქიდან გამომდინარე, რომ მხარეები მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს, განმცხადებლისთვის ცნობილი იყო, რომ შ რ-ს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით სასამართლო დავები ჰქონდა წაგებული და ჰქონდა მოლოდინი, რომ ისიც შეიძლებოდა გამხდარიყო სექსუალური შევიწროების მსხვერპლი და ამ მოტივაციით საუბარი ფარულად ჩაიწერა, მნიშვნელოვანია განმცხადებელს დაეფიქსირებინა, რომ მისთვის სექსუალური ტიპის საუბარი არასასურველი იყო.</u>* საყურადღებოა ისიც, რომ განმცხადებლისთვის ცნობილია

[27] **მაგ:** „შენ გინდა, გახდე სექს დივა?“ „შენ, იგზიბიციონისტი ხარ?", „მე შენი მ***** მოწოვა მინდა, უნდა უთხრა, პირდაპირ, ხო?, „ქალის მ****** გინდა? ქალთან სექსი ისე, რომ შენ იყო დომინირებული?“; მისდიე, შენ სხეულს, რა, დადექი რაკამ და მ*********, რა... ხოდა, რა იცი, იქნებ, კარგია ვიღაცის ხელში სათამაშო რო ხარ. ტ******* დროს რო გცემენ გევასება ?“; „ბინძურ ბ*** რომ გეძახიან?“; „ათავებ, შენ, ტ****** დროს, ჩესნად მითხარი“

[28] სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და საუნივერსიტეტო პოლიტიკა რედაქტორები თამარ ზარანდია, ნათია ჩიტაშვილი 2021 წელი https://www.tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Tamar_Zarandia.pdf გვ. 54

სექსუალური შევიწროების კონცეფცია (წინა დღით მან სტატუსი დაწერა სოციალურ ქსელში), ასევე საუბრისას თავად მოჰყავს ფილმიდან სექსუალური შევიწროების მაგალითი, ხოლო მოპასუხე სატელეფონო საუბრისას ამბობს, რომ ყველაფერი მისი ბრალია ქალების შევიწროების ჩათვლით; ამდენად, განმცხადებელს თუ პირად ან/და ინტიმურ საკითხებზე საუბარი არ სურდა, მნიშვნელოვანი იქნებოდა საუბრის დასაწყისში ან/და საუბრის მიმდინარეობისას არასასურველობა დაეფიქსირებინა. ამის საპირისპიროდ, განმცხადებელი არა მხოლოდ აქტიურად არის ჩართული კომუნიკაციაში, არამედ მოპასუხეს მისი პირადი თუ ინტიმური ცხოვრების თაობაზე ინფორმაციას უზიარებს; საგულისხმოა ისიც, რომ განმცხადებელი და მოპასუხე არ იმყოფებიან დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, ნებისმიერ მომენტში განმცხადებელს შეეძლო, როგორც არასასურველობის დაფიქსირება, ასევე შეხვედრის დატოვება და არ არსებობს არანაირი გარემოება, რომელიც სახალხო დამცველს აფიქრებინებდა, რომ წინააღმდეგობის გაწევის რესურსი განმცხადებლის მხრიდან შესუსტებული იყო. შესაბამისად, სახალხო დამცველი მოპასუხეს ვერ დააკისრებს იმის პასუხისმგებლობას, რომ მხოლოდ მისთვის ყოფილიყო განჭვრეტადი საუბრის არასასურველობა.

სახალხო დამცველი ვერ უგულებელყოფს მოპასუხის აღქმებსაც, კერძოდ, დიალოგი იმდენად **მძაფრ სექსუალურ შინაარს** იძენს, რომ მოპასუხის შთაბეჭდილებით, განმცხადებელს მოსწონს და მასთან სექსუალური ურთიერთობა უნდა.[29] შესაბამისად, ***<u>საქმის ობიექტურად შეფასება</u>*** მოითხოვს, ყურადღება მიექცეს მოპასუხის მხრიდან დასმულ შეკითხვებსაც, როდესაც ის განმცხადებელს ეკითხება, რატომ არ დატოვა შეხვედრა, როცა ნებისმიერ დროს წასვლა შეეძლო.[30] დამატებით, ხაზგასასმელია დიალოგის დასასრულიც, როდესაც მხარეები არა მხოლოდ მომდევნო შეხვედრაზე თანხმდებიან, არამედ მათ შორის მეგობრული საუბრების არსებობასაც არ გამორიცხავენ და ამ დიალოგის შემდგომ, 2019 წელსაც აქვთ მიმოწერა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის მიუხედავად, რომ დიალოგის გარკვეული ეპიზოდები ცალსახად უხამსი და სექსუალური შინაარსისაა, ის მისაღები ფორმატი იყო მასში მონაწილე პირებისათვის. ამდენად, არასასურველობის კომპონენტი ამ ნაწილში არ არის დაკმაყოფილებული, რომელიც სექსუალური შევიწროების ცნების აუცილებელი ელემენტია.

3. დასკვნა

---

[29] მოპასუხე: "მიუხედავად იმისა, რომ შენ მე გესიმპატიურები, ამ მომენტში, როგორც ჭკვიანი კაცი, შენ არაფერს არ ასხივებ"; განმცხადებელი: „მე ეხლა რატო არ მივდივარ მაინტერესებს, რაღაცა ისეთი მართლა დასკვნა"; მოპასუხე: „რა დასკვნა? შენ, იმიტომ არ მიდიხარ, რომ გევასება ჩემთან ერთად ყოფნა... გაინტერესებ, მე, საინტერესო ვარ შენთვის"; შ რ განმცხადებელს: „შენ მე გევასები, მოგეწონე, საინტერესო ტიპი ვარ. ჩემნაირი ტიპი არ გინახავს"; მოპასუხე: „რატო გინდა ჩემთან სექსი?"; განმცხადებელი: „არ მინდა"; მოპასუხე: „არა, არა, ერთი წუთით, არ გვექნება, არა, ეგ სხვა არის"; განმცხადებელი: „იდეურად არ მომწონს"; მოპასუხე: „კი ბატონო, იდეურად, ეგ ძაან მნიშვნელოვანია, მაგრამ, აი, ეს, სიცხოველით, რატომ გრძნობ, რომ ჩემთან კარგი იქნება"; განმცხადებელი: „სექსი არა, ეხლა ხო ვლაპარაკობთ, ესეც ხო საინტერესო არის, ეს უფრო კარგია"

[30] ***მოპასუხე:*** *„არ მოგეწონა? აბა, რატო იყავი აქ? ხო შეიძლებოდა, ნებისმიერ მომენტში წასულიყავი?"*; ***განმცხადებელი:*** *„კი"*; ***მოპასუხე:*** *„რატო არ წახვედი?"*; ***განმცხადებელი:*** *„თავი და ბოლო რომ ჰქონოდა ამ ყველაფერს?"*

განსახილველ საქმეში, საქართველოს სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების განხორციელების ვარაუდი განმცხადებელის მიერ მითითებული იმ ფაქტების საფუძველზე, რომელთა თანახმად, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასასურველ სექსუალური ხასიათის ფიზიკურ ქმედებას, რის გამოც განმცხადებელს შეექმნა დამამცირებელი გარემო. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სექსუალური შევიწროების ფენომენის მძიმე კონტექსტის მიუხედავად, მოპასუხეს, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების გასაქარწყლებლად, თავისი პოზიცია სახალხო დამცველის აპარატში საერთოდ არ წარმოუდგენია, რომელიც სექსუალური შევიწროების ვარაუდს გააქარწყლებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ **შ რ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა ა გ-ს მიმართ სექსუალურ შევიწროებას, რაც გამოიხატა არასასურველი, სექსუალური ხასიათის ფიზიკურ ქცევაში, რომელმაც განმცხადებელს შეუქმნა შეურაცხმყოფელი/დამამცირებელი გარემო, დანარჩენ ნაწილებში სახალხო დამცველმა სექსუალური შევიწროება ვერ დაადგინა.**

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შ რ-ს:

- *მომავალში, პროფესიულ და სხვა ურთიერთობებში, არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან/და მათი ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო.*

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,